

ლიტერატურული განები

№21 (229) 16 - 29 ნოემბერი 2018

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ანდრო ბუაჩიძე

გაელვარა

ზაზა თვარაძის ხსოვნას

როცა საღამოვდება და მთელ ქალაქში ჩამავალი მზის დამსხვრეული სინათლე წრიალებს შენობების კედლებზე, მაშინ ჩემს მახსოვრობაში ცხოვრების ზოგიერთი, თოთქმის უკვე დავიწყებული ნაგლეჯი თუ ნაფლეთი ამოიზიდება. რა იყო ცხოვრების ეს მონაკვეთი, რა აზრი ჰქონდა? ჩეალობა ჯერ ერთ წერტილში შემკვრივდება, მერე კი განიქვრევა და გაიძნევა, დავიწყების ხსნარში გაიძლება და გაიწოვება. იქნებ ასეა მთელი ცხოვრება, ან ცხოვრების სხვადასხვა გზაჯვარედინი, გადასასვლელი და მონაკვეთი, სხვადასხვა საფეხური — რაღაც ბლანტ გარემოში შედიხარ, იქ სხვადასხვა ნივთი და საგანია, სხვა, ძველისგან განსხვავებული გარემოა და ატმოსფერო. გეჩვენება, რომ ჩრდილებიც სხვაგვარად წვება, თანდათან ეჩვევი ამ გარემოს და მერე შენიც ცხოვრების განუყორელ ნაწილად მიგაჩნია. ეს აწმყოა, რომელიც ხელშესახები კრისტალებისგან შედგება და შენც ამ საგნობრივ რეალობაში ეწერები. ჩრდილები, ქუჩა, ეზო, ინტერიერი, ადამიანები... ეს ახალი გარემოა, ვთქვათ, რედაქცია, სა- დაც იწყებ სამსახურს და ფიქრობ, რომ სრულიად ახალი რამ დაიწყო შენს ცხოვრებაში, მაგრამ ეს, არსებითად, მოჩვენებაა, ფიქცია; რაღაც ახალი მართლა დაიწყო, რადგან ახალი ადამიანები გაიცანი, თუმცა იმავე წრეზე ტრიალებ და ეს ადამიანებიც ბევრად არ განსხვავდებიან ადრე გაცნობილთაგან. აბა, რაღა ახალი? ახალია თვითონ შენი შთაბეჭდილებები, რომლებიც ცხოვრების ახალ მონაკვეთზე განეფინება, ახალი ხარ თვითონ შენ...

II-III

ვასილ ბესელია

აქედან ისევ
სიკვდილიმოჩანს
და ძლივს ვიბრუნებ სულს ბოლო კართან,
ყველა სიკვდილთან
თამაში მორჩა,
ბოლო სიკვდილთან თამაშის გარდა...

ვდგავარ მიწიდან ცოტათი მაღლა,
ცოტაც და...
ხორცის შიშინებს კვარი...
შენს გადაღებულ წვიმასთან ახლა
თავს იკლავს ჩემი ჩამდგარი ქარი...

ვერც სასწაული გითხარი რამე —
დაწყვეტილ ნერვის,
დალლილი სახის...
...ზეციდან მძიმედ ეშვება ღამე,
ვით საორლანო ქორალი ბახის...

VIII-IX



დასაწყისი პირველ გვერდზე

გასული საუკუნის 90-იანი წლები იქნებოდა, ზაზამ რომელი მოთხოვა, ჩემთან წამოდის სამუშაოდო. უკრნალის რედაქცია ვერის უბნის ერთ მცუდრო ეზოში მდებარეობდა სხვა უმნიშვნელო რედაქციებთან და ძველ ბიბლიოთეკასთან ერთად. იქ იმხანადვე ყველაფერი ძველი იყო და დაფხავებული, მაგრამ ეს ქალაქის მშენოთვარებას განაპირობებდა არგმარე ძალიან მყუდრო ჩანადა... ამ ეზოში იდგა მაღალი ხეები, სოკოშადრევანი და ერთი გრძელი სკამი, რომელზეც დროდადრო (მეტწილად კარგ ამინდში) ძველ შენობაში მომუშავე თანამშრომლები ჩამოსხდებოდნენ ხოლმე.

მზე ჩადიოდა, მაღალ და ტანძსხვილ ალვის ხეში იხლართებოდა ჩამაგალი მზის სხივები და ეზოს ქვაფენილზე იპნეოდა. ეს ეზო ქალაქის შუაგულში იყო, ამიტომაც მისი გარიყულობა და სიმყუდროვე თავისებურ ელფერს სძენდა მიდამოს. შებინდებისას მართლაც დიდი სიმშვიდე ისადგურებდა ეზოშიც და შენობის ოთახებშიც და, თუ გარეთ სკამზე არ ვისხედით, შენობის ერთ პატარა ოთახში ვიყავით მოყუჩებულები. ეს რედაქციის სამუშაო ოთახი იყო. სარედაქციო საქმეს სწრაფად ვასრულებდით და მერე მე და ზაზა ათას რამეზე ვიწყებდით საუბარს. წახემსებაც გვიწევდა, თითო ბოთლი ლვინოც გვქონდა, ხან ვინ შემოგვიერთდებოდა და ხან ვინ. ერთი ფოტოსურათიც მაქვს შემორჩენილი, რომელზეც მე, ზაზა, ჯვებე აღსაბაძე და იგორა ვართ აღბეჭდილები. საწერ მაგიდაზე სუფრა გვაქვს გაშლილი და კუბერავთ. უცნაურია ყველა ეს ფოტო, ნამიერების მომხელთებელი და ყველაზე წვრილმანი დეტალების შემნაცველი. თითქოს გახსოვს ცხოვრების ეს პერიოდი, მაგრამ წვრილმანები ხელახლა გახსენებენ თავს. ხედავ შენს სახეს, რომლის მსგავსი უკვე აღარა ხარ, მაგრამ იცი, რომ ეს მაინც შენ ხარ, ცხოვრებას მინდობილი, შენი მიამიტი ზრაცხებით, გაურკვეველი სურვილებით, მნარებელით და ბედასწრით და კიდევ რითო, არ ვიცი... დიდი სიცარიელით, რომელიც სადღაც მიგაქანებს. წვრილმანები... მაგიდაზე დევს იმ ძველი ფირმის სიგარეტი, რომელიც აღარ არსებობს, ლიტრიან ბოთლებში წყალწყალა ლვინო ილანდება, გაშლილ გაზეთზე დაჭრილი ძეხვის ნატრები და პურის ნატეხები აწყვარა. დრო. ფოტო აღბეჭდავს დროს, რომელიც გაქრა. სურათის ატმოსფეროს, ცხადია, ჩეგნი საუბარიც ქმნის, მაგრამ საუბარს ობიექტივი ვერ იხელთებს. აქვეა ფორი: საქალალდება, შემინული კარადა, თაროებზე დაწყობილი უბადოუკი წიგნები, ნიჟარები, შპალერახეული კედელი, საბეჭდი მანქანა... ეს ის ხელშესახები აქსესუარია, რომელიც კარგახანის ინაჩუნებს თავს, სანამ ვინმე უხეხმად არ შეეხება და არ მოაშთობს. მაგრამ ეს რატომდაც არასდროს ხდება, ამიტომაც უმნიშვნელო რეკვიზიტი მუდმივად აწყვია მეტრილად დაცარიელებულ ოთახებში.

მე ზაზაზე ადრე მივდიოდი რედაქცია-
ში და დიდხანს ვიჯექი განმარტოებით ერთ
ყრუ ოთახში. ამ ოთახის ფანჯარა ეზოში
გადიოდა. როცა შესასვლელი კარი ჩაირ-
აზებოდა (იყო ასეთი შემთხვევებიც), რომე-
ლიმე მარჯვე თანამშრომელი გარედან
ჩვენი ოთახის ერთი მეტრის სიმაღლეზე
გაჭრილ ფანჯარას უბიძგებდა, შეხსნიდა
და რედაქციაში ამ გზით შეაღწევდა. ასე-
თი ოლო, უპრალო და მოსახერხებელი იყო
ამ ძველი შენობის პირველ სართულზე
ყოფნა, რაც უფრო სახალისოს ხდიდა
კიდეც თანამშრომლების მიმოსვლას. შე-
ნობა უფრო საცხოვრებელ სახლს ჰგავდა,
ვიდრე თუნდაც ისეთ უზყინარ დანეხე-
ბულებას, როგორიც სასკოლო ლიტერ-
ატურული უურნალის რედაქცია იყო.
პირველ სართულზე ერთი ოთახი რუსულ
უურნალს ეთმობოდა, აქ რუსები მუშაობდ-
ნენ და მათი სამუშაო გრაფიკიც ისეთივე
აპსურდულ შთაბეჭდილებას ტოვებდა,
როგორიც სხვა რედაქციებისა — თანამ-
შრომლები იქვიათად ჩანთონენ.

ვიჯენი მე ამ ნიკვანაში და ორგვლივ
ჩამომდგარ სიცარიელეს ვუსმენდი.
მეტნილად არავინ ჩანდა. მოგვიანებით ხან
ვინ შემოივლიდ და ხან ვინ. სამსახური
ერქვა, ოორუე ეს იგივე სახლი იყო, სადაც
თავს იყრიდნენ სხვადასხვა ჯურის, ერთ-
მანეთს უკვე შეჩერეული ადამიანები.

90-იანი წლები... მე და მამაჩემი ერთად

ანდრო ბუაჩიძე

გაელვანიკა

გაზათვარაძის ხსოვნა



ამოვდიოდით მეტრო „რუსთაველი დან“ და ზანდუკელის ქუჩის აღმართოთან იყრებოდა ჩანა ჩვენი გზები. ბოლომდე გადაჭედილ მეტროს ვაგონიდან ძლიერ ვიძერენდით თავს და მერე უკვე სხვადასხვა მხარეს სამასახურებისკენ წასულებს, საგრძნობი შევებაც გვეუფლებოდა. საღამოთი კი იგივე მეორედებოდა: მეტროთი მგზავრობა არაადამიანური ტანჯვა და მერე დიდული ბიდან სახლამდე ავი ძალლებით საგსე გზის მონაკვეთზე ფეხით სიარული.

ପାନ୍ଦ୍ରୋ ପେଣ୍ଟ୍ରୋ ପିଯମ. ମୁଖ୍ୟମ୍ଭାଗ ପେଣ୍ଟ୍ରୋ ପିଯମ
ଗ୍ରହୀଲ ଓ ଗାଫିଆନ୍ତୁର୍ରେଖୁଲ ଲ୍ୟାଙ୍କେବ୍ସ ନେର୍ମାଣ କରିଛନ୍ତି. ଶେବନ୍ଦାଶି ଶେବନ୍ଦାଶି ପାନ୍ଦ୍ରୋ ପିଯମ ନିରାଜନିକ
ପିଯମ ପାନ୍ଦ୍ରୋ ପିଯମ ପିଯମ ପିଯମ ପିଯମ ପିଯମ ପିଯମ

და სავსე, ტიროდა და ნარმოთქვამდა
ლექსებს უკვე ნასულ ცხოვრებაზე;
რომელიც დასავიწყებლად არ ემტებოდა
ხშირად ვიღაცას მიმართავდა, იმას, ვისაც
მისი არ ესმოდა, ვისაც ცხოვრებამ ყვე-
ლაფერი გამოსტყუპა და არაფერი დაუტო-
ვა სულის საოხად.

სახელის ხელის, კონტურებისამდილი სახეები, მინავლებული ფერები. ზოგჯერ ღამეებატებილს და დაწესებულების გახრივინებულ სავარძელში მჯდომას ჩამოვლებმდა და ის გარდასული დრო მახსენებოდა. სადღაც, ბაგშვინის აგარაკის რომელიდაც ოთახში, ველოდი საღამოხანს და არცეკი ვიცოდი, რატომ ველოდი უკვე საღამო იყო, შორიდან მიღეული ხეები მოისმოდა და მინდოდა ვინმეს შევხმა-ანებოდი, მაგრამ ირგვლივ არავინ იყო. მე ვდგებოდი და ვტოვები ითახს, ჩავდიოდი გრძელი კიბით ეზოში და მივაბიჯებდი ტყისკენ, ეს იყო სიზმარი, რომელიც ტყესთან ერთად ქრებოდა.

* * *

ზაზა ნაშუადლევს შემოიცლიდა ხოლმები
მასთან ერთად უკვე ვეღარ გავისხენებ იმ
დროს, რადგან ის უკვე აღარ არის ამქვეყ-
ანაზე, მაშინ კი იყო და მოდიოდა ნაშუა-
დლევს, მოდიოდა ნელი ნაპიჯით, გარედან

მოადგებოდა ფანჯარას და მხარზე შეგ-დებულ ჩანთას მოიხსნიდა. ამის შემდეგ ვისხედით შეუქრდილებით სავსე პატარა ოთახში და უურნალის საქმეს ვაკეთებდით, ოდნავ მოგვიანებით კი ათას რამეზე ვსაუბრობდით. სხვათაშორის, ეს საუბარი ზაზამ თავის ერთ ლექსში გადმოსცა. მე დღემდე ვფიქრობ, რომ „დამინებული ლექ-სი“ ზაზას საუკეთესო ლექსია. აქ გად-მოცემულია ჩვენი ერთად შემუშავებული „არს პოეტიკა“, სხვა ენით რომ ვთქვათ, დამინების ხელოვებას. მაღლაფარდოვნებ-ბა უნდა შეიცვალოს დამინებით და ამ დამი-ნებაზე ზაზა ვრცლად ლაპარაკობს ლექს-ში; გზადაგზა ისეთ გადახვევებს აკეთებს, რომ გაკვირვებას იწვევს. ზაზას შეეძლო თხზვის და ნერის დროს მოეხსნა ყოველგ-ვარი შეზღუდვა და სიტყვები თავისუფლად გადმოეყარა; ჰო, გადმოეყარა. ის მარ-თლაც უხემად ყრიდა სიტყვებს, ფრაზებს, ვრცელ პერიოდებს და ეს თავისებურ ევ-ფონიურ სურათს ქმნიდა თავისუფალ ლექსში. საქმე ის არის, რომ სრული გასაქანი ეძლეოდა ფანტაზიას, გზადაგ-ზა იოთხვებოდა ლექსის სიუჟეტი, ყალბ-დებოდა აზრი, შემოინერებოდა კომპოზი-ცია... ვიხსენებ ახლა ფრაზებს:

ისმოდა შაშვის სიგნალები —
ფრინველი თითქოს
თავის დაშიფრულ გულისნადებს

საკუთრივი და გენერაციულ გამოხატვების გამოხატვები. სალამონბით, იმ ავადსახსენებელ 90-იან წლებში, იმ მყუდრო ეზოში ერთი ფრინველის ხმა ისმოდა ცეკვაზე მაღალი ხიდან. ეს შაშვი იყო. შაშვის გაღობა ეფინე-

ბოდა მთელ ეზოს და ჩვენს პატარა ოთახში აღწევდა ამ ეზოდან. ამ ეზოში გახედვა ერთ რამედ ლირდა. მაღალი ხეების მწვანე საფარველი მოძრავ ჩრდილებს აფენდა, თან მთელ ეზოს თითქოს მოლივლივე სიმწვანის ფარდა ჰქონდა გადაფარებული. ზაზას ლექსის განწყობასაც ეს ლივლივი ქმნის. იქ თითქოს ამაოებათა ამაოების შეგრძება იპადება. ხომ ამბობს კიდეც პაულ ცელანი, პოეზია ამაოების შეგრძებაა. ზაზამაც ამაოება გადმოსცა ამ ლექსით; ამაოება, რომელსაც იმ ოთახის შიგნით, იმ დროსა და სივრცეში, უფრო სწორად, ზუსტად იმ წერტილში ვგრძნობდით. არა, დროც მნიშვნელოვანი იყო, 90-იანი წლები... დღისით მთელი ქალაქი ჩუმ სევდაში იწვა, ქუჩებში ალაგ-ალაგ ხალხის გროვა იდგა ან მოძრაობდა, სწრაფი ნაბიჯით ინაცვლებდა ადგილს, რადგან ტრანსპორტი არ არსებობდა (მხოლოდ მეტრო მუშაობდა) და სხვაგარად მიმოსვლა შეუძლებელი იყო. საღამოობით კი ქუჩები ცარიელდებოდა, ადამიანებს გარეთ გამოსვლის ეშინოდათ, შინ ისხდნენ და კარებზე რაზა ჰქონდათ დადებული. არადა, მაშინდელი ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ უფრო ღამით მიწევდა სიარული, საკმაოდ დიდ მანძილს გავდიოდი სრულ წყვდიადში. არც გარეგანათება იყო და არც სახლებიდან გამოდიოდა შუქი. მივდიოდი და მივდიოდა სიბნელეში, კუნაპეტს ვაპობდი. მეტწილად მთელი დიდუბის გავლა მიწევდა. დიღობში გადასასვლელ ხიდამდე რის ვაი-ვაგლაბით მივაღწევდი, მასივისენ გადავიდოდი და მერე უკეშინ დავიგულებდი თაკს. ზოგჯერ ისე გავივლიდი მთელ გზას, რომ ძე-ხორციელი არ შემომხვდებოდა. მიკვირდა, ნუთუ ყველაზე გაბედული მეგარ, ასე რომ გაურსეა ნაგვიანევად სიარული-მეთქი. ცოტა ხანს ხიდზე ვჩერდებოდი, მტკვრის შავ მორევს ჩავყურებდი და მერე ისევ განვაგრძობდი



— ისმაილი დამიძახეთ!

— თუ დამიძახებთ ისმაილს, მოვალ, სახელს აღვიქვამ, როგორც განაჩენს, ეს არის ჩემი ღვთიური მოვალ-ეობა, ასე სურდა მამაჩემს. და რადგან ასე სურდა მამაჩემს, მამის სურვილი უნდა გადარჩენს, აღვიქვამ სახელს, როგორც განაჩენს, მოვინანებით გეტვით დანაჩენს.

ჩემს შეყვრებულს ჰქეია Miss Smile, აქვს გრძელი თმა და გრძელი ფეხები, და როცა ვწებით ამბობს: — ისმაილ... მის გახსნილ ბაგეს ბაგით ვეხები. მაშ ასე, ჩემს ქალს ჰქეია Miss Smile, მიღიმოდა და... დაიწყო თმი, მას შემდეგ, როცა ისმის — ისმაილ! ვცხადდები ჩემი ოფიცრის ფორმით.

ქუდას Barsalino-ს წარწერა შვენის და ეპოლეტებს ვარსკვლავი ზეცის, მე მოვალ, რათა ჩემით და შენით გადარჩეს, რასაც თაყვანი ვეცით. ჩამოვარიგებ მაჯის Tissot-ებს, — ისმაილ! — 9-დან უნდა ისმოდეს, თუ აფრას გაშლით, შევძლებ ზღვისოდენს, თუ ფრთა გაშალეთ, შევძლებ ცისოდენს.

დაგიბრუნდებით, როგორც ულისე... თუმცა სახსარში გაცვდა მენისკე, მე უიმბლდონის დიად ტურნირზე ვიბრძონონ ტევის. ...როგორც მიცცა ათენს რაციო და ზღვის ნაპირებს ვერცხლის ოლივი, მსურას, სიტყვა ლექსად გადავაქციო და მოგაწვდინოთ მაშელ რგოლოვით.

მინდა, რომ რაღაც დარჩეს უცვლელი, მე ცვლილებებიც უცვლელს ვეძებდი და მიცდის მედდა სუფთა ფურცელით, რომ გამოვწერო ლექსის რეცეპტი, რომ შევამშრალო წყლიანი თვალი, რომ გადავურჩეთ მძიმე ქარტეხილს, რომ შემოვიდეს მეზობლის ქალი, ცხელი ყავით და შაქრის ნატეხით.

ჩაგრულის მხარეს ყოფნას ვეცადე, სერბეთს რომ დასცხეს, გავხდი სერბისტი, და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძონის. — აი, გამექცა უცბად პათოსი, რომ გამომტაცოს ლექსის სადაცე, თუმცა ვერდიქტი სასამართლოსი ამართლებს ბეთოლებს და სისადავეს.

მე ღმერთს ვიწამებ და არა მოღმე-რთო კერპებისათვის აღმართულ კოლოსს, დაუჯდები, როგორც წყლის პირას მოყმე, რომ გამცნო ქვეყნის თავი და ბოლო. და ვიწყებ წერას... და ვიწყებ მხოლოდ... და არ ვასრულებ, როგორც მისიას, რადგან სიცოცხლის თავი და ბოლო, როგორ თურმე დასაწყისია.

p.s.

რასაც ელოდა, ისევ მას მოელ-ის იალქანი, — ქარების სერვისს, თუ დამიძახებთ, მოვალ ისმაილ, რომ გადავდახო სათქმელი მერმისს. ახლაც სათქმელზე ვფიქრობ აუზთან, მაგრამ უკაცრად ძალიან დაცხა, მყითხელს ბოდიში, ვიღებ პაუზას, აქვეა გრილი მოწნული ფაცხა.

საპროფესო აქცია

გავაპროტესტებ დრო-უამის ურდოს და ტრანსპარანტზე დავაწერ — არა!—ს, მაგრამ საათის ისარი ქურდობს და გამარჯვების სიხარულს მპარავს.

მინდა გავეკცე ჩარაზულ საკანს, სტრიქონი მაძლევს ამ განცდას წამით, საკანში გავშლი წარწერით პლაკატს: — ძირს დიქტატურა დროის და უამის!

მაგრამ დრო შრება... მაგრამ დრო ქრება... თვალი ვერ წვდება დრო-უამის ნაპირს, საეკლესიო იკითხავს კრება: — დრო თავად შენ ხომ არა ხარ, რაბი?..

— რაბი, ბარძიმში ისხმება პინო, მე პოვზია ვადარე მესას... და როგორც სისხლად იქცევა ღვინო, იქნებ ეს ბოდვა აქციო ლექსად.

...და ბარიერთან ვდგები და დრო-უამი დუღლის ნიშნად ხელთათმანს ვესვრი, ან ვიწანალებ ქუჩაში ბომუად, ან მის წეს უნდა ავუგო წესი.

— აგერ, ამ კაცმა მშვენივრად იცის, ზის ვაგონში და მისდევს ლიანდაგს, აღარ უშველის მუხლებზე ფიცი, თუ პატანზე დააგვიანდა.

სან ამუხრუჭებს... დრო არსად გარბის... აღარც იშლება ყვავილზე კვირტი. როცა განაჩენს შეკრული წარბით სასამართლოზე მსაჯული იტყვის.

...საწოლთან ქალის აგდია ქოში, ვნებიან ქერძის ნახატში ვისმენ და ფანჯრის სხვივი ქარვისფერ დროში ითახში ფუნჯით შემოჰყავს ვინსენტს.

დროს აქვს თავისი ფერი და გემო, სტრიქონს ეპოქის სურნელი გაკრავს, ან ახლა გეტვი, ან ცოტა ქვემოთ, რა მაღლი აკრავს დავითის საკრავს.

ეპოქა ისვრის ტრენდსა და ანკესს, მაგრამ არსებობს ხსოვნის არქივი, სადაც ძველსა და შორეულ ჰანგებს აგემონებენ კონიაკივით.

გადაძახილი სპარსული წოხის ევროპელებმა ჩაისთან მოსვე... კარაიანმა იპოვა ჯოხი, რომლითაც წყალი გააპო მოსემ.

გახვეტავს მოდას ქარების ბერვა პოლიუმების ვიწრო ბილიკით, დაფნება თოვლი და მხოლოდ მწვერვალს შერჩება ქუდი მძაფრი ლირიკის.

ლექსი უძლვენი როცა კონტესას, ვერ შეამჩნევდა ამას ნობელი, მაგრამ ეს დროა, დროა, როდესაც სთევი სტევა დროის უარმყოფელი.

ამ ხმაურიდან დარჩება ოდა, — ცაზე ხატება განვდილ წეროსი... თუ სიცხიანი პოეტი ბოდავს და სისხლიანი ჩანს ანგელოსი.

...აიგნის ნიავს ვაყოლებ „როზე“-ს და მხიბლავს ის, რომ სასრული ამცდა, — დიდება უფალ! მომისწრო დროზე, და უდროობის დატოვა განცდა.

ტურისტი

უნახაობის მუდმივი შიშით, ვინ აქსარაის სტუმრობს სახაშეს, ვინ თმენით დგება რომაულ რიგში, რომ ხელი შეჰყოს საშიშ სახაში.

იერუსალიმზე პირველი მზერა, წმინდა მინასთან შეხება ტერფით, და ერთი ხელით პირჯვარის წერა, და რა თქმა უნდა მეორით — სელფი.

რაც გადაურჩა ლუვრსა და ვერსალს, შემოინახავს შენი რვეული, მათ, ვინც შორტებით ესრება მესას, კურის ტურისტული სამზარეულო.

ტური გვთავაზობს ზეცას და გემბანს, გამლილი წიგნი შუქზე წერის... და ტურისტული არსებობს რემბოც და ტურისტული გალაკტიონიც.

სუვენირებად აკენკილ სტროფებს თუ ვერ ასცდი და ველარ შეემვი, გატეკნილ ადრესს გასძახებ შოფერს, გაზეპირებულს ლექსის თრეველში.

რომ არ შეიგრძნონ თავი ეულად, ეწერებიან ნაცად სიაში, მიაყვება ჯგუფი ენერგიულად ტურისტულ მარშრუტს პოეზიაში.

...ერთ დროს სტუდენტი პარიზის სხვენში ფანქრით ხატავდა მიშეელ ნატურას, ვიდრე პროფანუს წამოჰყვა თქეშით ღვარი ტურისტულ ლიტერატურის.

ცხოვრობ და ვიღაც ცხოვრებას ცდილობს, ვიღაც ზურგჩანთით გაურბის სევდას, გაფენილია რემბრანტის ტილო, ტურისტი უცქერს... პოეტი ხედავს...

პავანი

— ჯვარს აცვი! — ისმის ყოველი მხრიდან, ძველ უკუნს ცვლიან ახალ უკუნით, მე გადაუუბა ჯარბა ფრიგიულად ცალბერა არა აცვის საუკუნე.

ფარულ ჩანაწერს — მამულის დვრიტას — სულმოუთქმელად ქალაქი ელის, — ჯვარს აცვი! — ისმის ყოველი მხრიდან, გამხნევებული ინტერნეტ ქსელით.

ვერგალექსილი აგდია ფრაზა, როგორც სიმბილო ახალ ეპოქის და აიფარებს მოდერნულ ფასადს შერიანბა ძველი მეტოქის.

პროგრესსტების წერიალებს ლოცვა, როგორც ნაწილი სილაზე შარდი და მხოდება როგორც მისიან ბიჭი და უცირავს ვარდი.

ხამოღვახა

მზისგან მოჩითულ ეზოში
მოისმა შარიშური
შემოდგომის ზღაპრული მოსასხამის.
უკუჭილეს ჩარჩულზე
შეკრთა ნისლი,
თრიმლის ღვინისფერი ფოთლებით
შეიმკო გულისპირი...
ჩალისფრად ემჩნევათ ბალახებს
აგვისტოს მხურვალე ამბორი,
მორთოლვარე თითების ალერსი.
წვიმა ენაფება
გახლეჩილ ბრონეულებს.
მზიფობელა მნიფებს ნაყოფს.
ყურს ვუგდებ...
ჩავლილი ზაფხულის მატიანეს,
სევდიან ხმაზე მძერის...

აღსარება

ქალაქს შეხიზნულებს,
მიგვავიწყდა მზის ამოსვლის მშვენიერება,
ბალახის ბაბინით მოჩურჩულე მინა,
ძლიერი გრძნობები.
აბრეშუმის ჭიასავით ვიქსოვთ
გულზე გულგრილობს ძაფს.
...გათენებისას სიზმრებს მიჰყვება მონატრება.
ჩემი სიზმარი ხორბლისფერ მინდვრებს
ეალერსება, მთებში დარჩენილ
„თუშურ კოშკებს“ — წინაპართა სამყოფელს,
თოვლზე ამოსული ყვავილებით
რომ გებულობდნენ გაზაფხულის მოსვლას
(არხევდნენ შრომანები სურნელოვან ზანზალაკებს).
მუდამ სამშობლოს გავედრებდნენ,
ყოვლის გამრიგევ.
ჩვენ ურჩობისთვის ვისჯებით.
პირადულისთვის მოფუსავუსენი,
მონაულთათვის გულმოწყალე ხარ, ღმერთო,
შეიწყნარებ წრფელ სინანულს.
ბრმა ჭუპრივით ჩამოიშორებს გული
ღალატს, სიძულვილს,
სიყვარულის ცისარტყელად ქცეული,
სათნების ნათელს მოჰყენს
ცას და დედამინას...

თაფლის სათელი

თრთი რიურაჟივით,
თაფლის სანთელო,
ილევი ცრემლად,
უმელ მაცხოვარს
უხმი ვედრებას,
მლოცველთა ტკივილს,
ზეცის და მიწის
ნაზო ნათელო,
ახლა, როცა ჩემთან სახლობს
ბინდი შემოდგომის,
ისე ამშვიდებ მოწყენილ სულს,
სიყვარულით ისე აბრნყინებ,
თითქოს ყვავილების
ნექტართან ერთად
ზზს სხივებსაც გიკრეფს,
მოგალობებ, უფლის ფუტკარი.

ასკილის ვარდი

გაბნეულია ხავსიან ქვებზე
დაწყვეტილი გიშრის ფარდულა...
შემორჩენია ძეელ აკლამას
სიპზე ნაკანრი,
„...გაბმა სოფელში ყვავილობს ვარდი...“ —
ყვავილის სილამაზე ატყვევებდა,
გულს უთბობდა
აკლამის სამზერიდან
მაცქერალ ქალს.
ვარდასაც სჩევოდა
სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობა.
მინისგან დათებული კანდელივით
მიაცილებდა
მწუხარების ველზე მიმავალს,
ქარისგან ნალებული
ფოთლივით შემკრთალს...

ქველი ლეგენდა

„წმინდა სერობის“ ფრესკაზე
მაცხოვრად დახატა ოსტატმა ჭაბუკი.
...დრომ ჩაიარა ცდუნებით სავსემ...
იუდას სახეც მან შთაგონა,
ვედარ იცნო, ცოდვით დაცემული.
ნათელთან განშორება
ჩვენც გვიცვლის ფერს,
ქრება სიყვარული,

ლელა ლაგაზიძე



შრიალებენ სიძულვილით
შურის შხამიანი ყვავილები.
გაუსაძლისი ტკივილების დროს
შვების ავგაროზივით
ენატრება სულს სათნოება.
სიბნელეზე გაწოლილი სხივია
შენა გზა, უფალო,
ლოცვით გასავლელი.
საუკუნეებია ცრემლით ალტობს
მაგ სავალს პავლე მოციქული,
მებაჟე ზაქე, მაგდალინელი...
ჩვენი მერთომარე სიყვარული
ფსალმუნივით სინაულად დაღვრილი...

გავავები

ეს ჩემი ქვეყნის ჭრილობაა,
გულს დამჩნეული.
გამუდმებით ტკივილ-მწვეთავი.
მიწვდიან მოწყალებისთვის
პატარა ხელისგულებს
ქუჩის ბავშვები,
გზაბნეული უფლისწულები.
სიყვარულის, ალერსის ნაცვლად,
უსუსურ ხელებს
ხურდა ფულს ვჩუქნი.
მომყვება სინაულის რექვიმივით
მათი წკრიალა ხმა,
რექვიმივით
ჩვენ რომ ვნერთ, გულგრძელი,
სიბრალულ-გამქრალი ადამიანები...

პახილი

მესტუმრა გიშრის პირბადიანი
ქალაგატონი.
დამაფინა ქუთუთოებზე
სიზმრის ფარდაგი, აბლაბუდას
ძაფზე შეუბუქი.
წაშალა დარდი და მონატრება.
გადამატარა წლების მდინარეები.
...შემოდგომაა, ოქროსფრად მოჩურჩულე,
მზის სხივებით ხატავს
ბავშვობის ოთახს.
თაროზე ვერცხლის ხონჩა დგას.
ატმით, ვაშლით, ყურძნით დახუნძლული.
ხალიჩაზე ეზოს ნაგაზი თვლემს.

ხელიდან გამსხლტარი მტევანი
ძალს ეცემა
ავი ღრენით გულდაზაფრულს.
შემომესმება ალერსიან ძხილი.
ეს მფარველი ანგელოზის ხმა,
მთელი სიცოცხლე თან რომ დამყვება.
შიშის უფსკრულთან მდგარს,
სიყვარულით მანუგეშებს...

განსანება

თითქოს წვიმებმა შემოაძარცვეს
ნეკერჩელის ხეს
მენამული შესამოსელი.
გადაუცლია შემოდგომას
მოგონებისთვის წლების ნაცარი.
ამოუხეთქავს ძველ სიყვარულს
მწვანე კვირტივთ,
შეგმიგი ღვინისფერი გეორგინებით
ძველი საფლავი.
ვინ იცის, მთელი სიცოცხლე
მაღლულ სიყვარულს ესათუთებოდი.
მხოლოდ საკარვის მელოდიებს განდობილი,
ან მთვარი მოსირმულ ღამეებში
თუშურ ფარდაგებზე
სევდის ირმებად ქსოვდი
მონატრებას, აუზდენელი სიყვარულის...

სამოცი გადი

კეთილო მეზდაპრევ,
მიამბე ზღაპარი,
გაზაფხულის ბალახივით ნაზი.
შეც შენა ლამაზი ამბიდან
ვარ გამოპარული.
წლები კი არა, გულიდან
გაფრინდა სამოცი გედი.
წავიდნენ ადამიანთა მინაზე სახეტიალოდ.
ერთმა სიყვარული ისაგზლა,
მეორემ თეთრ სანმისს ქეატოვა
ღალატის ჯვარი.
სამრეკლოსთან გააწყეს ბუდე,
დაზარდეს ბარტყები.
იპოვეს უკვდავების წყალი.
ფრთებით მომიტანეს წვეთი.
ისახსოვრეს ღრუბლიდან მზის ჩანგი,
მღერის საკრავი და
გალობას სალბუნად იფენს
გრძნობებით დალლილი გული...



პეტერა ესხერალდა

ესეში „ჯოისის ოთახი“ უკვე ვისაუბრეთ ტემინების Dura Mater-ისა და Pia Mater-ის შესახებ, რომელიც მწერალს სალოცავ ოთახში ხატებივით გაკრულ ფოტოების ქვეშ მიენერა და აღნიშნეთ, რომ, სამედიცინო ცინო თვალსაზრისით, Dura Mater ტვარში არსებული მემბრანა, რომლის უმთავრესი ფუნქცია, სისხლი ტვინიდან გულსხენ გაძაქჩიოს. Pia Mater ლათინურად სათონ დედას ნიშნავს, ამ მემკრანის ფუნქცია ტვინის ქსოვილის გამოკვება და დაცვა გახლავთ... ასე რომ, ჯოისის სალოცავ ოთახში ერთ-ერთი ხატი გულის სიმბოლო იყო, მეორე — გორგის, მესამე კი წარწერით Elena vidi (ვნახე ჰელენე) — ქალმერთის მინიერი ქმედებების. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ტერმინები (Dura Mater, Pia Mater) ოთახის მანის „დოქტორ ფაუსტუშიც“ გვხვდება. სამასლის ანგელოზი (სამაილი) ადრიან ლევერკუუნს უხსნის, რომ ესმერალდასგან ვენერიული მერინგითი დასწროვანებულს გარკვეული პერიოდის შემდეგ მეტასტაზები თავში აუვა. იმ პატარა ნაწილაკებს, სამაილის აზრით, გარევეული „მისწრაფება“ ამოძრავებით „უზენაესისკენ, რაღაც განსაკუთრებით ეტანებიან თავის არეს, მენინგებს Dura Mater-სა და Pia-ს, რაც შიდა ნაზ პარენქიმს იცავს, და დასწროვანების წამიდან იქითენ მიეშურებაზე გუნდ-გუნდად“.

ამრიგად, ეშმაკი არც მაღავს, რომ სწორედ როგორი მი მანილებმ შექრას ცდილობს, ის კონტროლს ამყარებს ადრიანის გორგებაზე, გულსა და საქმეებზე (სულინიშნიდის მოქმედების სფერო). ამ მიზნის მისალნევად სამაილი მოციულად ჰეტერა ესმერალდას იყენებს, რომელიც ადრიანმ (ნიკეშს მსაგასად) სარისეკიპობში გაიცინ, სადაც ლაიფციგი ახალჩასული გაუფრთხილო გაუფრთხილობად მიიყვანა ბარგის დამტარებელმა, მეგზურობას რომ უნევდა. დაბნეული ადრიან დიდ დარბაზში მდგარ როიალს მიუჯდება და რამდენიმე აკორდს აიღებს კარლ მარია ვებერის ოპერიდან „თავისუფალი მსროლელი“. ამ დროს მას „მხარში ამოუდგება ნუშისთვალება შავგვრემანი ქალი, რომელსაც ესპანური ბოლერო აცვია და ლოყაზე ხელს უცაცუნებს. ადრიანი შეკრთხა, მუხლით განზენდებს სკამს და საროსეკიპობის გარბის“.

Heae es, Hetaera Esmeralda, ეს თორმეტ მარცვლოვანი კოდი, რომელიც ადრიანმა ჩადო თავის უმთავრეს ნაბარმოებ „დოქტორ ფაუსტუშის გოდებაში“, ის დერძია, საიდანაც ყველაფერი ვითარდება. იგი მეორება „თითქმის ყველგან, სადაც კი საუბარი (ეშმაკას და დოქტორ ფაუსტუს შერის დადებულ) ხელნერილსა და შეთანხმებაზე, სისხლით განმტკიცებულ ხელშეკრულებაზე ჩამოვარდება ხოლმე.“ საგულისხმოა, რომ თორმეტი ხმოვნისგან შედგება ის წინადადებაც, რომელსაც დოქტორი ფაუსტუში ამბობს სიკვდილის წინ; „ვკვდები ცუდი და კეთილი ქრისტიანი“.

ესმერალდას „მეგობრად და მაჭანკლივი უმანკება დაირღვა“, რადგან ცხოვრებაში ქალი პირველად ეხებოდა და ისიც ადრე თუ გვიან დაბრუნდებოდა იქ, საიდანაც გამოიეცა. დაახლოებით ერთი წლის გასვლის შემდეგ შხამიანი ისრით დაღდასმულმა „მუხლი მოიყარა ინსტინქტის წინაშე“ — ვეითხულობთ რომანში. უფრო ადრე კი მთხოვბელი, ზერენუს ცაიტბლობი, საგანგებოდ აღნიშნავს, დამონურს გერმანულად ინსტინქტური ენოდება. ასე რომ, ადრიანის საროსეკიპობში დაბრუნება დამონური სანცისისად



თემურ გაბუნია

ნინას ნარმატულური რომანი

თომას მანის „დოქტორი ფაუსტუში“ ნინას ნარმეტულურ რომანად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან მასში საუბარია აპოკალიფურ „კადნიერებით აღსავს ბარბაროსის დადგომაზე“.

„ახალი ნარმართობის“ ერთგვარი მქადაგებელია ჯეომზ ჯოისის თხზულებების ავტობიოგრაფიული პერსონაზე სტივენ დედალოსიც.

მანც რა საერთო ნიშნები ახასიათებთ აღრიან ლევერკუუნსა და სტივენ დედალოს და რას უნდა გულისხმობდეს თომას მანი კადნიერებით აღსავს ბარბაროსის?

მი დანებებად უნდა აღვიქვათ. თუმცა იქ ესპანური ბოლეროთი მოსილი ქალი, რომელსაც ესმერალდა შეარქვა, აღარ დახვედრია. საროსეკიპობი დასხულებული ლაიფციგიდან ქალაქ გრაცში გადასულიყო, სადაც სტაციონალურად მკურნალობდა. ადრიანი გრაცში ჩადის, ის შეგნებულად ცხოვრობს სწერულ ქალთან, რადგან რაღაც უცნაური სურვილი ამოძრავებს, თვითონაც დასწრებულდეს. ეს აქტი „დემონური ჩასახისა და საკუთარი ბუნების“ ანტიკურ ქალმერთთან, ვენერა პანდემოსთან, ვენერიული დაავადების გზით ზიარების სიმბოლოა. ესმერალდა ამ შემთხვევაში უბრალიდ შუამავალი იყო, ადრიანი მას Hetaera Esmeralda-ს ქარქმევს და ამ სახელს ქარაგმულად, საიდუმლო ფორმულებით, ჩაქას თავის მუსიკალურ ნანარმოებები. მალე ის დანერს მუსიკას, რომელშიც საუბარი იქნება (სულინიშნიდის მოქმედების სფერო). ამ მიზნის მისალნევად სამაილი მოციულად ჰეტერა ესმერალდას იყენებს, რომელიც ადრიანმ (ნიკეშს მსაგასად) სარისეკიპობში გაიცინ, სადაც ლაიფციგი ახალჩასული გაუდებაზე გუნდ-გუნდად“.

ამრიგად, ეშმაკი არც მაღავს, რომ სწორედ როგორი მი მანილებმ შექრას ცდილობს, ის კონტროლს ამყარებს ადრიანის გორგებაზე, გულსა და საქმეებზე (სულინიშნიდის მოქმედების სფერო). ამ მიზნის მისალნევად სამაილი მოციულად ჰეტერა ესმერალდას იყენებს, რომელიც ადრიანმ (ნიკეშს მსაგასად) სარისეკიპობში გაიცინ, სადაც ლაიფციგი ახალჩასული გაუდებაზე გუნდ-გუნდად“.

Heae es, Hetaera Esmeralda, ეს თორმეტ მარცვლოვანი კოდი, რომელიც ადრიანმა ჩადო თავის უმთავრეს ნაბარმოებ „დოქტორ ფაუსტუშის გოდებაში“, ის დერძია, საიდანაც ყველაფერი ვითარდება. იგი მეორება „თითქმის ყველგან, სადაც კი საუბარი (ეშმაკას და დოქტორ ფაუსტუს შერის დადებულ) ხელნერილსა და შეთანხმებაზე, სისხლით განმტკიცებულ ხელშეკრულებაზე ჩამოვარდება ხოლმე.“ სარისეკიპობში გაიცინ, სადაც ლაიფციგი ახალჩასული გაუდებაზე გუნდ-გუნდად“.

ესმერალდას „მეგობრად და მაჭანკლივი უმანკება დაირღვა“, რადგან ცხოვრებაში ქალი პირველად ეხებოდა და ისიც ადრე თუ გვიან დაბრუნდებოდა იქ, საიდანაც გამოიეცა. დაახლოებით ერთი წლის გასვლის შემდეგ შხამიანი ისრით დაღდასმულმა „მუხლი მოიყარა ინსტინქტის წინაშე“ — ვეითხულობთ რომანში. უფრო ადრე კი მთხოვბელი, ზერენუს ცაიტბლობი, საგანგებოდ აღნიშნავს, დამონურს გერმანულად ინსტინქტური ენოდება. ასე რომ, ადრიანის სარისეკიპობში დაბრუნება დამონური სანცისისად

დიდი მწერლის თხზულებებში აისახა, არა მხოლოდ მანისა და ჯოისის, არამედ სტაინბერეისა და ფოლკნერისისაც.

ამრიგად, თომას მანის „დოქტორ ფაუსტუში“ (და ნანილობრივ ჯოისის „ულისესი“) ნინას ნარმეტულურ რომანებაზეც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან მასში საუბარია კულტურულისა და სულიერის მოსალოდნებლ კრიზისზე, ასევე იმ მატერიალურ პლატფორმაზე, რომელიც ღმერთიან მეტობობ ძალებს უნდა გამოიყენებინათ ძალაცემების ხელში ჩასაგდებად. ჯოისის ავტობიოგრაფიული პერსონაზე პერსონაზე დაგვაცის ადრიანის, ფრიდრიხის ნიცხვების ლიტერატურულ ორეულს. სტივენის თავი ახალი წარმართობის ცენტრში წარმოუდგენია, როდესაც გაიფიქრებს, „ჩევენ... ახალი წარმართობა... ომფალოს“. თუმცა ჯოისისა და ნიცხვეს შორის მანიც არის არსებითი განსხვავება, გერმანელმა ფილოსოფიულსმა, როგორც უკვე ვთქვით, პრატიტიულად, თავისი ცხოვრებით აღასრულა ვენერა პანდემიის მისტერია, ჯოისმა კი — მხოლოდ მხატვრულად და თეორიულად. ზოგიერთი მკვლევარი მას ბლუმის ერთ-ერთ პროტიპად მიიჩნევდა, მონიფულობის ხანის სტივენად, რასაც მხოლოდ ნანილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან ბლუმი შეგუებული იყო მოლის ლალატს, ჯოისი კი ნორა სავარაუდო ორგაულობა ისეთ სასონარკვეთამდე მიიყვანა 1909 წლის ოჯახური კრიზისისას, რომ მეგობარი ბირნი ამბობა, ამაზე უბედური ადამიანი ცხოვრებას.

დიას, ჯეომზ ნორა უყვარდა და ამ სიყვარული მეტანკაულებად ხელი შეუშალა, უპირობობ დანებებიდა მაცდუნებებს, რაზეც ნათლად მეტყველებს მწერლის პარადოქსული გამონათქვამი: „ხელოვანს შეიძლება უნდოდეს, სატანას დაემსაგავსოს, მაგრამ საბოლოო ჯამში ის მაინც მაცხოვებას და ესკარებას.“

ლოცვა

1924 წლის 20 მაისს ჯოისი წერს ლექს „ლოცვას“, რომელიც მისი რომანების მთავარი პერსონანაუზების, სტივენ დედალოსისა და ლეობოლობ ბლუმის, ერთგვარ სულიერ მანიფესტადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. ექსტაზის მისგავს ემსგავსება“.

„ბოლო მოულე, ჩემ მშვიდობ სიყვარული, ჩემს განაცილებად და მეტყველებას მწერლის პარადოქსული გამონათქვამი: „ხელოვანს შეიძლება უნდოდეს, სატანას დაემსაგავსოს, მაგრამ საბოლოო ჯ

ლიტერატურული გაზეთი

წყალონ. მასში იგრძნობა სული მორჩილება ქალბატონისადმი, რომელმაც მლოცველი უნდა იხსნას. ჯოისმა ეს ლექსი თვალის ოპერაციული გამოწვეული აგონისას დაწერა. თუმცა მნერალი დამაბრმავებელი სნეულების გაჩენამდეც სრულ კაპიტულაციას უცხადებდა ქალურ საწყისს, რაზეც ნათლად მეტყველებს უფრო ადრინდელი პერიოდის ესეები და პირადი წერილები.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ჯოისის ცნობიერებაში დათისადმი რნმენა ქალის სიყვარულმა ჩაანაცვლა. ახალგაცნობილი ნორასადმი 1904 წლის 1 სექტემბერს მიწერილ ბარათში ვკითხულობთ: „რა მშვენიერი დილაა... როგორ მძუდს ღმერთიც და სიკვდილიც. როგორ მიყვარს ნორა!“ 29 აგვისტოთი დათარილებულ წერილში კი მომავალ მეუღლეს, საკუთარ თავსა და ოჯახს ჯეომზი ასე უხასიათებს: „ჩემი გონება მთლიანად უარყოფს არსებულ სოციალურ წესრიგს, ქრისტიანობას, ოჯახს, დამკვიდრებულ ღირებულებებსა... და რელიგიურ დოქტრინებს. მანც რატომ უნდა მომწონდეს ოჯახის იდეა? ჩემი საშუალო ფენიდან გამოსული ოჯახი მთლიანად გაანადგურა მფლანგველობის ჩვევამ, რომელიც მეც მივიღე მემკვიდრეობით, დედა კი ნელ-ნელა შეენირა მამაჩემის სასატიკ მოპყრობასა და ხანგრძლივ გაჭირვებას.“


როგორც აღვნიშნეთ, ჯოისი მომავალ
მეუღლეს ცდიდა. საკუთარ თავს განგებ
ას ან

ნამდვილეში იყო. თუმცა, მეორე მხრივ, ამ ბარათების გადაკითხვისას ბევრს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც, ქალის სიყვარული ღვთის უარყოფასა და სიძულვილს რატომ უნდა იწვევდეს? ქორწინება ხომ ძველ აღთქმაშიც ნაკურთხია და ახალშიც? აპრამისა და სარასა, ისააკისა და რებეკას წინდობა ქრისტიანული ჯვრისწერის წინასახეა. „ცოლი შენი, ვითარცა ვენახი მსხმოი, კიდეთა სახლისა შენისათა; შვილნი შენი, ვითარცა ახალნერგნა ზეთისხილისანი გარემოის ტაბლისა შენისა“ — ვკითხულობთ 127-ე ფსალმუშმი. სახარებაში აღწერილ ქორწილს უფალი თავად ესწრებოდა. კანას გალილაში გამართულ წევულებაზე მისვლით მაცხოვარმა ქორწინება აკურთხა. წყლის ღვინოდ ქცევა კი მიგვანიშნებს, რომ ღვთის მოშიში წყვილისთვის სიყვარული წლების გასვლის შემდგომ უფრო გაძლიერდება და განსხვავებულ გემოს შეიძენს, როგორც ქრისტეს სასწაულით ღვინოდ ქცეული წყალი. უფალი უხილავად ყველა ჯვრისწერაში მოანილეობს, როგორც მღვდელმთავარი. ის კრავს და ამტკიცებს მომავალ ოჯახს. ქალი და მამაკაცი უნდა იქცნენ ერთხორც, რათა აღსრულდეს ქორწინების საიდუმლო...

ამრიგად, ოჯახი ერთგვარი ციხეს-იმაგრეა ადამიანისთვის, რომელიც მას ეშმაკის მანქანებისგან იცავს. თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“ პირდაპირაა ნათქვამი, ადრიანს რომ მოეხერხებინა დაქორწინება მარი გოდოზე (ისევე, როგორც ადრიანის პროტოტიპ ფრიდრიხ ნიცშეს — თავის რჩეულზე), ლევერკაუნი დაცული იქნებოდა სამსალის ანგელოზისგან, რომელმაც მისი ცდუნება ჰეტერა ესმერალდას მეშვეობით მოახერხა. ფრიდრიხ ნიცშემ თავისი ცხოვრებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრატიკულად აღასრულა ვენერა პანდემიის მისტერია, რის შესახებაც ჯოისი თეორიულად მსჯელობდა თავის „ულისეში“. ასე რომ, „ულისეც“ და „დოქტორი ფაუსტუსიც“ სილრმისეული პლასტებით ერთმანეთის მონათესავე ნანარმოებებია, მეტიც — ნინასნარმეტყველური, რადგან მათში საუბარია იმ ეპოქაზე, რომელიც ახლოვდება.

ପ୍ରାଚୀନ କବିତା

1904 წელს ჯოისი წერს ესეს ადამიანის
მაცდუნებელ „გაშლის ხის ქალბატონზე“.
ის ხილული მშენიერების სასწაულია,
თანაც იმდენად „წინდა, რომ ღირსიც კი
გახლავთ ლოცვებით განვადიდოთ“. იმ
ქალბატონმა ასწავლა, როგორ შეეცოდა,
ხოლო თუ არ შესცოდავდა, ვერც ამა-
ლლდებოდა, რაფგან სწორედ ცოდვა
აძლევდა ადამიანს საკუთარი თავის შეც-
ნობის საშუალებას. ესეს აგრძორს მიაჩნია,



პერსონაჟი ადრიან ლევერკუიზიც, ესმერ-
ალდა კი მწერალს ჰეტეროდ (იშთარის
„შამხათად“) ჰყავს წარმოჩენილი. მაინც
რითი შეიძლება აიხსნას ზემოთ ჩამოთვ-
ლილ პერსონაჟთა ურთიერთსაბაირ-
ისპირო სულიერი განვითარების
მექანიზმი? მათი ქცევის პარადოქსული
განსხვავებულობა?

ଭାରତୀୟ ପରିମାଣକାର୍ଯ୍ୟର ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରିପାଳନା


„პური ვით ვიგემო, ავი და ბინძური?“
„გილგამეშიანი“

გილგამეში პოემის დასახუისში სიყვარულის ქალღმერთის სრულ მორჩილებაშია, ასრულებს კველა რიტუალს, რაც მოეთხოვება, თან იმდენად „გულმოდგინება“, რომ ურუქის ბინადრებს მოსვენებაც კი დაუკარგა თავისი აღვირას ნილობით.

„არ უშებეს გილგამეშ
ქალწულს დედასთან

ასულს გმირისას, სასძლოს მოყვისას".
პირველი ღამის ნესი დაუკევიდრებია ურუქში და ამით იმთარს ახარებს, ის ხომ თავისუფალი სიყვარულისა და ეგრეთ წოდებული „საღვთო პროსტიტუციის“ მფარველია. ურუქის მეცე ეუდლება იშთარის ქურუქ ქალებს თამუზის გაცოცხლებისა და ნაყოფიერების დღესასწაულებზე, რაც „იყვ მისი არა მხოლოდ პრივილეგია, არამედ საღვთო ვალიც, რომელიც შედიოდა მეფის ფუნქციებში და უსაფუოდ უნდა შეესრულებინა“ (ზურაბ კიკნაძე, „გილგამეშიანის“ შესავალი). მაგრამ თანდათანობით შუმერული პოემის პერსონაჟი ხდება მთელი რიგი ცვლილებები, ის თითქოს კიბეზე იწყებს აღმასვლას. ძმადნაფიცობა ინიციაციის პირველი საფეხურია. სწორედ ენქიდუ (ძმადნაფიცი) გადაუღობავს გზას სანთიობოსკენ და მიახვედრებს, რომ იშთარის მორჩილება უღირსი საქციელია. ძმობილი ურუქის

ნეფელს უარს ათქმევინებს პირველი ღამის წესის ალსრულებაზე.
ინიციაციის მორიგი საფეხური კედრონის ტყისკენ ლაშქრობაა. ხუმბაბას მოკვლის შემდეგ ურუქში დაბრუნებული გილგამეში უკვე იმთარის სარეცელზე ასვლასაც კი უარობს, რაც იმ ისტორიულ ეპოქაში დიდ სულიერ გმირობას მოითხოვდა. რომელი რელიგია ბატონობდა ურუქში? ეს ქალაქი შეიძი ბრძენის დაარსებულად ითვლებოდა, რომელთავანაც ერთ-ერთმა ემირექარის აფეხალმა ზეციდან ჩამოიყვანა „ცის დედოფალი“ — ქალმერთი ინანა (იმთარი). დღესასწაულებზე ურუქის მთავარ ტაძარ ეანნაში ტარდებოდა ისტარისა და თამაზის (რომაული ვერსიით — ვენერასა და ადონისის) საატივისაცემო რიტუალები, რომელთა შეუსრულებლობაც გაბატონებული რელიგიის უარყოფას იწნებავდა. გილგამეში იმთარს უპირისპირება, ოლონდ ბოლომდე არა, ის თანახმა ხორბლით აუვსოს ბედლები ინანას, შესწიროს ძვირფასი სამოსი ქურუმექალთა და კერპათა შესამისად, მაგრამ იმთარს კი ალარ შეეუძლება, რადგან მისი წარმომადგენლობა უკვე დაუდგინდა.



„ლრიფე ხარ ქარის ვერდამწერო,
სასახლე — მამრთა დამღუპველი,
ხარო ხარ, მზაკვრულად გათხოლი...“
საყველურობს გილგამეში ქალღმეროს
აღ იძის მსხვილ პლატი წილოვოსოს.

და იმ ექვს სასწაულოდ ს ჩამოუთვლის, რომელიც მან განირია: ქვესკნელში ჩაგდე-
ულ თამაზს; ფრთებდალენილ ჭრელ ფრ-
ნველს; ლომს — ხაროში ჩავარდნილს;
ოლტით ნაცემ და შვიდ ბერუზე ნაჭერნებ-
ჟენს — უწყლობით დავარდნილს; თხებ-
ს მწყებს, იმთარის შელოცვით მგლად
ცეულს; ასევე იშულანუს, იმთარის მამის
ებალეს, რომელმაც ქალღმერთი უარყო
იტყვებით: „პური ვით ვიგემო ავი და ბინ-
ჯური?“

აძირიგად, კედრონის ტყიყიდას დაბ-რუნებული გილგამეშისთვის იშთარი უკვე ისთვის სათაყვანებელი ქალღმერთი იღარაა, უბრალოდ შურისმაძიებელი და ოოროგტი ქალია. საზოგადოდ, წარმართო-აში არსებობდა დაბალი და შედარებით აღალი დონეები (სულიერი განვითარებ-ს თვალსაზრისით). წარმართები იყვნენ ბლატონი, არისტოკრელე, ჰომეროსი, ვერ-ილიუსი და „ბერვულფში“ ნახსენები ითინებიც — მკვდრის მჭამელები, რომ-ლებიც ამაზრზენ რიტუალებს ასრულებდენ. ადამიანების მსხვერპლად შენირვა ივით კულტურულად დაწინაურებულ კულტებიც კი მიღებული იყო, მაგალითად, აბერძნეთში, რომლის მეფე აგამენონაც ტროაში გალაშერების წინ საკუთარი ქალ-შემვილი იფიგენია შესწირა ღმერთებს. ბიბ-ლიასა და მხატვრულ ნანარმოებში (თო-ბას მანის „იოსები და მისი ძმები“) აღწერ-ალია, თუ როგორ კლავდენენ თავიანთ პირმშობს შუამდინარეთში, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. თომას მანის ზრით, თვით მესოპოტამიაში მცხოვრებ აკანბის სიმამრ სემიტ ლაბანსაც კი ჰყავ-და შენირული უფროსი ვაჟი ღმერთები-თვის ქალდეველთა წესისამებრ, მსხვერ-ბლად მიტანილის ძვლებს კირელიევიასავ-თ ინახავდა სახლის კედელში.

ნარმართულ სამყაროში ამ საზარელ ჩინტუალს უპირისპირდებოდნენ თეზევსი-ა და ფარნავაზის მსგავსი რჩეულები. უზევსმა მოკლა ლაბირინთის ურჩხული მინოტავრი, რომელსაც ათენელ ჭაბუკებ-ა და ქალიშვილებს უგზავნიდნენ შესაჭ-მელად, ხოლო ფარნავაზმა აღკვეთა რიტ-უალური ხასიათის მასობრივი კანიბალ-ზმი (“ქართლის ცხოვრება”, ტ. I, გვ. 26). ბრამბა ღვთის კარახით ისააკის ნაცვ-ლად ვერძი დაკლა და დაწვა სამსხვერპ-ლო კოცონზე. ნეტარი თეოდორიტე აღნი-ნეავს: „იმის გამო კი არ ცდიდა უფალი ბრამს, რომ მისთვის ესწავლებინა ის, რაც უკვე იცოდა, არამედ უცოდინართათვის ჩრდომ ეწიენებინა, თუ რა სამართლიანად ქეიყვარა პატრიარქი.“ უცოდინრებში რამართული კუთხის მიხმარის

ამრიგად, გილგამეში დაბალი დონის
არმართობიდან (იშთარის ამორალური
ულტის თაყვანისცემა) უფრო მაღალი
ძონის წარმართობისკენ მიდის, როგორც
ევრგილიუსის ენეასი, რომელიც, როგორც
უკვე აღვნიშნეთ, უარს ამბობს ვენერას
ეთავაზებულ დიდოზე, ღვთისგან დაკ-
სრებული მისიის შესრულებაში ხელს რომ
უშლის და ლათინთა სამეფოსკენ მი-
მართება. კალიფსოს ტყვეობას თავს აღ-
ევს ოდისევსიც და მშობლიური ითაკისკენ
მისისწრაფის. გილგამეშსა და ენეასს წარ-
ართობა არც აკმაყოფილებთ, ისინი ხვდე-
ბიან, რომ არსებობს რაღაც უფრო დაადი
ჩამა. ჭეშმარიტების შესამეცნებლად ისინი
თავს განსაცდელში იგდებენ და სახიფა-
თო თავგადასავლებასც კი არ ერიდებიან.
ით, ასეთ მაღალ სულიერ დონეზე დგანან
ეოთა ამიშვანია „ოა, ენიოსა!“ ემირიძი

გილეადემიანთა და „ეტეიდას გიორის. სრულიად განსხვავებული ფსიქიური წყობის ადამიანები არიან ჯოისის სტივენ დედალონს და ოთმას მანის ადრიან ლეკერ კიუნი. ქრისტიანული ეპოქის შემცემს ელემონტა აქვთ ბიბლიის, არანაირი სახიფათო დოგზაურობებიც არ სჭირდებათ ჭეშმარიტების შესამეცნებლად, რადგან ის უკვე ააქადაგებია და მაინც წარმართობას

“ଶ୍ଵରନାଳୀ ସାକ୍ଷେଳୀ “ଦାନ” ଦ୍ୱୟାଲୀରଲାବନ୍ତରୁଲୀ ଫ୍ରାଙ୍ଗି
ଏହାରୁଲୀ (ଅର୍ଥାତ୍) ମୁଖ୍ୟମୁଖ୍ୟ ପାଠିଗୁଣିତିରୁଲୀ ପାଠିଗୁଣିତିରୁଲୀ
ଏହାରୁଲୀ (ଅର୍ଥାତ୍) ମୁଖ୍ୟମୁଖ୍ୟ ପାଠିଗୁଣିତିରୁଲୀ ପାଠିଗୁଣିତିରୁଲୀ

ვასილ
ბესელია

აგვისტოს პოლო ლექსი

ვაგროვებ ყრმობის
სიცხიან ბოდვებს,
იმ დროის ომებს —
უაზროდ ფიცხელს!
ვაგროვებ ბედის
ცარიელ ბოთლებს
და ვადაგასულ
აგვისტოს სიცხეს...

ვაგროვებ მიზეზს
გულების სერვის,
რაც მისხალ-მისხალ
ვზომე და ვთვალე,
ვაგროვებ შიშველ
მთიების სერვიზს,
დოლბანდის ნისლში
გახვეულ მთვარეს...

ვაგროვებ სახლებს
ჩემს ბოლო ქოთან,
ვაგროვებ მტერს და
ვაგროვებ მოძმეს,
ვაგროვებ —
რაც რომ ულმერთოდ მოხდა,
ვაგროვებ —
რისიც ღმერთია მოწმე...

ვაგროვებ თმებს და
ტუჩებს და თვალებს,
ცრემლებს, მირონად
რომელიც ვიცხე...
ვაგროვებ ხსოვნის
შფოთიან ქალებს,
ვით ვადაგასულ
აგვისტოს სიცხეს...

ვაგროვებ, სადმე
თუ დამრჩა ლექსი,
ვაგროვებ ზღვა ხალხს —
ერთად და გროვად,
მათ, ვისაც ჩემგან
არ ახსოვთ ხემსი,
მათ, ვისაც მართებთ
ჩემს გამო გლოვა!

ხან მაღლა იწევს
ოცნების ჭერი,
ხან მტკრაან ქუდში
ეშვება ხურდა...
ვაგროვებ — რაც რომ
არ იყო ჩემი,
ან რაც იყო და,
ჩემად არ მსურდა...

...მერე,
ამ სიმწრით წაგროვებ ალაფს,
ამ ვადაგასულ
აგვისტოს სიცხეს,
ვუტოვებ გამხმარ
ფოთლებს ქალაქს,
ვამთავრებ ამ ლექსს
და სიკვდილს ვიწყებ!..

* * *

ვილევი თუმცა
მისხალ
და მისხალ,

ვევდები თუ ვხდები
სიკვდილის ღირსი —
შენა ხარ სხვასთან
და ჩემთვის ის ხარ,
ვერასდროს რომ ვერ
იქნება სხვისი...

ისევ იმ ცრემლის
ფარვანას ვისევ
და ჩემში ისევ
შენი მზე უფლობს...
